# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 350 „18“ ოქტომბერი 2012 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი“-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1 პუნქტის და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ნ” ქვეპუნქტის, „უფლებამოსილებების მინიჭებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 30 აპრილის N144 ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან ნადარეიშვილის მოხსენებითი ბარათის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის“ კანცლერის განცხადების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი“-ზე შემდეგ საქმიანობაზე: მაიონებელი გამოსხივების წყაროს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით გამოყენება.
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს“.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ჯუმბერ მამასახლისი
ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების
დეპარტამენტის უფროსი